ქ. თბილისის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №4

15 იანვარი, 2018 თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
16:30 საათი

<u>**სხდომას ესწრებოდნენ:**</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
3. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
4. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
5. რევაზ სოხაძე - კომისიის წევრი;
6. დავით უჯმაჯურიძე - კომისიის წევრი;
7. დავით რურუა - კომისიის წევრი;
8. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
9. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ (12/031800917-03, 09.01.2018).

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (12-0318012172-03, 12.01.2018).

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (11.01.2018; №12-03180111-03).

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” (12-0318012172-03; 12.01.2018).

5. დედაქალაქში ტრანსპორტისა და სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმის პროექტი.

კომისიის სხდომა ჩაითვალა უფლებამოსილად და შეუდგა მუშაობას დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესაბამისად.

სხდომას თავმჯდომარეობდა - **თედო ისაკაძე.**

კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მომხსენებლები:

- **მამუკა მუმლაძე** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი.
- **მალხაზ ჭამპურიძე** - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

მ.ჭამპურიძე - წარმოგიდგენთ „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს. როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ თბილისის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრულია ქვეპროგრამა „საქალაქო საავტობუსო ტრანსპორტით, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) და საბაგირო გზით საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას უფასო და შეღავათიანი ტარიფით მოსარგებლე პირთა მომსახურება“ (06.02.11). აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების მიზნით საჭიროა წესის ამოქმედება. შეგახსენებთ, რომ აღნიშნული წესის დამტკიცება ქ.თბილისის საკრებულოს მიერ ხდება ყოველწლიურად, ქ.თბილისის ბიუჯეტის დამტკიცების შემდგომ, გამომდინარე აქედან, დადგენილების პროექტი არ ითვალისწინებს რაიმე სახის შინაარსობრივ ცვლილებებს გასულ წელთან შედარებით. წესი ითვალისწინებს შესაბამისი კატეგორიის მოქალაქეებისათვის შეღავათიანი ტარიფებით სარგებლობის დაფინანსებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე წარდგენასთან დაკავშირებით.

კომისიის წევრებმა ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 9; წინააღმდეგი - 0). გადაწყვიტეს:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 კატეგორიის ავტობუსებით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას შეღავათით მოსარგებლე მოქალაქეთა მგზავრობის ფასის ანაზღაურების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (12-0318012172-03, 12.01.2018).

მ.მუმლაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს ნაცვლად 4 მოადგილისა, ეყოლება 3 მოადგილე. ამასთან, სამსახურში 5 განყოფილების ნაცვლად, იქნება 4 განყოფილება. უქმდება პარკირების და სანებართვო-ანალიტიკური განყოფილება, რომელთა ფუნქციებიც გადაეცემა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილებას. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფები ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: საგზაო მოძრაობის ორგანიზების განყოფილება, მარშრუტების დაგეგმარებისა და კონტროლის განყოფილება, პოლიტიკისა და დაგეგმვის განყოფილება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილება. საზოგადოებრივი ტრანსპორტის ზედამხედველობის განყოფილების ნაცვლად, სამსახურში ყალიბდება მარშრუტების დაგეგმარებისა და კონტროლის განყოფილება. პროექტის თანახმად, სამსახურს ემატება გარკვეული ფუნქციები: დედაქალაქში ტრანსპორტის განვითარების პოლიტიკისა და მიდგომების განსაზღვრა და შესაბამისი პოლიტიკის გატარების უზრუნველყოფა, ურბანული პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება, ფუნქციური ზონის ცვლილების და სპეციალური ზონალური შეთანხმებით ქალაქგეგმარებითი პარამეტრების ცვლილების საკითხებში მონაწილეობის მიღება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება, მშენებლობის ნებართვის დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში არქიტექტურული პროექტების შეთანხმებისას (გარდა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის პროექტისა) შესაბამისი რეკომენდაციის მომზადება, სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციის მომზადება და ა.შ.

სამსახურისთვის სიახლეს წარმოადგენს პოლიტიკისა და დაგეგმვის განყოფილება. ერთ კვირაში კომპანია „სისტრასთან“ დაიდება ხელშეკრულება, კომპანია შეიმუშავებს დედაქალაქის სატრანსპორტო სქემას. ეს მოდელი არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქალაქისთვის. როდესაც მერიაში შემოვა მშენებლობის პროექტი, თუ რა ზეგავლენას მოახდენს მშენებლობა კონკრეტულ ტერიტორიაზე, ამასთან დაკავშირებით პასუხს მივიღებთ სატრანსპორტო სქემიდან. ქალაქის განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს მარშრუტების შეთანხმება გენერალურ გეგმასთან. ავტობუსების ნაწილში დედაქალაქში ხშირად არის ხაზების დუბლირება.

შ.ოგბაიძე - ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი. ძალიან ხშირად პრობლემურ ადგილებში, ვითარების ადგილზე შესწავლით მოგვიხდენია გადაწყვეტილების მიღება. მისასალმებელია, რომ გაჩნდა სიტყვა „სატრანსპორტო პოლიტიკა“. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების პროექტის მიხედვით იზრდება სამსახურის როლი. აქვე მინდა მოგახსენოთ, პრობლემური სატრანსპორტო საკითხები დედაქალაქში, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს. მეტად გადატვირთული სატრანსპორტო მოძრაობაა ბუდაპეშტის ქუჩაზე, ამიტომ აღნიშნულ ქუჩაზე არ უნდა მოძრაობდნენ ლურჯი ავტობუსები. აღსანიშნავია, რომ მდინარე მტკვარზე დღეის მდგომარეობით მოძრაობს 21 ობიექტი, არ არსებობს აღნიშნული ტრანსპორტის მოძრაობის მარეგულირებელი ნორმები, რამაც შესაძლოა მომავალში გამოიწვიოს გარკვეული პრობლემები.

მ.მუმლაძე - კანონმდებლობით ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დაქვემდებარებაში მხოლოდ M_2 და M_3 კატეგორიის ტრანსპორტი შედის, დავაყენეთ საკითხი, რომ M_1 კატეგორიის ტრანსპორტიც ჩვენს დაქვემდებარებაში იყოს, აღნიშნულთან დაკავშირებით კანონპროექტი გაგზავნილია პარლამენტში.

შ.ოგბაიძე - საგზაო შემთხვევების სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად კონკრეტულ ადგილებში განსახორციელებელია კონკრეტული ზომები. მაგალითისთვის, ვაკე-საბურთალოს გზაზე ბოლო 14 წლის განმავლობაში 32 ადამიანია დაღუპული უბედური შემთხვევის შედეგად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისაღებია შესაბამისი ზომები.

მ.მუმლაძე - მოძრაობის ორგანიზების განყოფილებაში იქნება ჯგუფი, რომელიც საგზაო შემთხვევის დროს გასცემს ინფორმაციას ალტერნატიული მარშრუტის შესახებ. თვითონ სატრანსპორტო პოლიტიკა გულისხმობს იმას, რომ მიკროავტობუსებით და ტაქსებით მოსარგებლე პირები გადანაწილდნენ მეტროსა და ავტობუსებზე. თუმცა პრობლემა პარკირებასთან დაკავშირებით მაინც რჩება.

თ.ისაკაძე - არიან თუ არა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტები ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის პოლიტიკისა და დაგეგმვის განყოფილებაში.

მ.მუმლაძე - აღნიშნულ განყოფილებაში არიან ურბანისტები.

ი.ჯიშკარიანი - მისასალმებელია დაგეგმილი ცვლილებები. თხოვნა არის რომ ხშირად მოვიწვიოთ ტრანსპორტის საქალაქო სამსახური. აქვე მინდა ავღნიშნო, რომ მუდმივი საცობის პრობლემაა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობასთან.

მ.მუმლაძე - ადგილზე შევისწავლეთ არსებული ვითარება, საცობების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია დილის საათებში, როდესაც ხდება საპატრულო პოლიციის სმენების ცვლილება. არსებობს საპატრულო პოლიციის მანქანებისათვის ალტერნატიული გზის გაყვანის იდეა.

შ.ოგბაიძე - პრობლემას წარმოადგენს ერთიანი სტანდარტის არარსებობა. მუდმივად იყო საცობის პრობლემა ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ მიმდებარედ. პრობლემის მოგვარების მიზნით შევცვალეთ მოძრაობის მიმართულება, შევაწევინეთ „შლაგბაუმი“, ამ გზით მოგვარდა არსებული პრობლემა.

შესაცვლელია სტანდარტები, ხშირად სარეკლამო ბანერები ფარავს შუქნიშნებს, გარდა ამისა ქალაქის მასშტაბით ქვეითთა გადასასვლელები უნდა იყოს ავტობუსების გაჩერების უკანა და არა წინა მხარეს. გარდა ამისა, ყურადღება მისაქცევია, ის ფაქტი, რომ რეგულაციების გარეშე მოძრაობენ რუსთავი-თბილისის საქალაქთაშორისო მიკროავტობუსები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - **9;** თავი შეიკავა - **0,** წინააღმდეგი - **0**), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ (11.01.2018; №12-03180111-03).

მ.მუმლაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, სამსახურში საშტატო ერთეულების ჯამური რაოდენობა არ იცვლება და განისაზღვრება 42 ერთეულით. სამსახურის განყოფილებებში მომუშავეთა რიცხოვნობა განსხვავებულია მოქმედი საშტატო ნუსხისგან. თუმცა, განსხვავებული მაჩვენებელი განპირობებულია ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ახალი დებულებით, რომლის მიხედვითაც, სამსახურში ნაცვლად 5 განყოფილებისა, იქმნება 4 განყოფილება. კერძოდ, უქმდება პარკირების და სანებართვო-ანალიტიკური განყოფილება, რომელთა ფუნქციებიც გადაეცემა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 9; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ” (12-0318012172-03; 12.01.2018).

მ.მუმლაძე - წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, მტკიცდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის საშტატო ნუსხა. განკარგულება ვრცელდება 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 9; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0), კომისიამ დაადგინა:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვით, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტზე სატრანსპორტო საკითხთა კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა გადაეგზავნოს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

5. დედაქალაქში ტრანსპორტისა და სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმის პროექტი.

თ.ისაკაძე - წარმოგიდგენთ, სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამოქმედო გეგმის პროექტს. პროექტი გადმოგეგზავნებათ ელექტრონული ფორმით. შენიშვნები და მოსაზრებები პროექტთან დაკავშირებით, მოგვაწოდეთ თქვენთვის მისაღები ფორმით. პროექტის დამატებითი განხილვის მიზნით, შეხვედრა გაიმართება 10 დღის ვადაში.

- კომისიის წევრებმა ცნობად მიიღეს წარმოდგენილი ინფორმაცია.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე **თედო ისაკაძე**